პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 19 დეკემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 678 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც· ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## სიცრუეს მოკლე ფეხი აქვს.

თითეულ თავის მოქმედებას, მიმართულს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლისის რეაქციონური მთავრობა ამართლებდა და ამართლებს იმ გარემოებით, რომ თითქოს საბჭოთა ხელისუფლება პირველი არღვევდეს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებასო. განსაკუთრებით ინგლისის რეაქციონერები ბევრს ლაპარაკობენ კომუნისტურ პროპაგანდაზე „თვით ინგლისში და მის კოლონიებში. საბჭოთა ხელისუფლებას ჩვენთან მშვიდობიანი კავშირი იმიტომ სურსო, რომ გამოიყენოს ის კომუნისტური პროპაგანდისათვის—აი რას ელაპარაკება ინგლისის ბურჟუაზია თავის მუშათა კლასს.

„ჩვენ პატიოსანი ხალხი ვართ, გვსურს მშვიდობიანი ცხოვრება, მაგრამ საბჭოთა კავშირი არ ისვენებს და ხელს გვიშლის; ამიტომ ჩვენ მასთან უნდა გავსწყვიტოთ კავშირიო“ ასე აშკარად სტყუის ინგლისის კონსერვატიული მთავრობა. თავის მტაცებელი პოლიტიკის გასამართლებლად, რომელსაც ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებს, ის მიმართავს ტყუილსა და საზიზღარ ცილისწამებებს.

მაგრამ, როგორც ხალხური ანდაზა ლაპარაკობს, „სიცრუეს მოკლე ფეხი აქვსო“. ყოველთვის ინგლისის მტაცებლებს არ ეხერხებათ სიმართლის დამალვა და უნებლიეთ თვითონ ამჟღავნებენ მას.

ასე დაემართა ამ დღეებში ცნობილ კერზონს, იმ კერზონს, რომელიც თავგამოდებით ებრძვის საბჭოთა ხელისუფლებას და მუდამ მზად არის რაიმე ზიანი მიაყენოს მას.

ლორდთა (ინგლისის თავადების) პალატის სხდომაზე ერთ-ერთ დეპუტატის შეკითხვაზე, თუ რამდენია რიცხვი იმ პირების, რომლებიც დაკავშირებული არიან საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა წარმომადგენლობასთან ინგლისშიო, კერზონმა უპასუხა, რომ ასეთების რიცხვი 340 უდრისო; ამას თანავე დაუმატა, რომ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომელიმე ამ პირთაგანი შემჩნეული ყოფილიყოს კომუნისტურ პროპაგანდაშიო. ვეკითხებით ბატონ კერზონს როდის ლაპარაკობს ის სიმართლეს, როდესაც მორიგ თავხედ ნოტას გვიგზავნის, თუ როდესაც თავის წრეში არის?

უსათუოდ ჩვენ უჯერით მას მაშინ, როდესაც ის თავის მეგობრებში ლაპარაკობს. თავისიანებში იმას არ სჭირია ტყუილი, სიცრუე და ცილისწამება. ასეთებს მას გამოადგება მუშათა კლასის დასაბრმავებლად.

მაგრამ არც ისე ბრმაა მშრომელთა მასა, რომ ვერ მიუხვდეს კერზონის ხრიკებს. ინგლისის მუშათა კლასი მტკიცედ დაადგა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატთან ძმურ სოლიდარობის დამყარების გზაზე. ამ სოლიდარობას ვერც კერზონი და ვერც მისი მაჩანჩალა სოციალ-გამყიდველები ვერ დაარღვევენ. ტყუილით და ცილისწამებებით ისინი მხოლოდ შეუწყობენ ამ სოლიდარობის განმტკიცებას და გაღრმავებას.

## მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა დევნა.

ყველასათვის ცხადია მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა ის უდიდესი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც მათ აქვთ საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. ეს ორგანიზაცია ერთეულებისაგან ერთი წლის განმავლობაში გადაიქცა ძლიერ პოლიტიკურ ძალად, რომელიც ავსებით გამოხატავს მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს საზოგადოებრივ აზრს, რაც დაამტკიცა ამ უკანასკნელ დღეებში მოსკოვში ჩატარებულმა სრულიად საკავშირო მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა კრებამ.

დღეს პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანად სოფლის მუშაობა სდგას. პირით სოფლისაკენ—აი დღევანდელ მუშაობის მორიგი ლოზუნგი. ამ მუშაობაში მას უდიდესი დახმარებას უწევს სოფლის კორესპონდენტი. სოფლკორი არ არის რაიმე იურიდიული უფლებით აღჭურვილი, ის მხოლოდ თავის შეგნებით მუშაობს მშრომელთა საკეთილდღეოთ. ცხადია მის მუშაობას დიდი დაბრკოლებები ელობება წინ.

მუშკორთა და განსაკუთრებით კი სოფლკორთა დევნამ ამ უკანასკნელ თვეებში ფართო ხასიათი მიიღო. დღე არ არის რომ საბჭოთა კავშირიდან არ მოვიდეს ცნობა სოფლკორის გალახვის და მოკვლის შესახებ. სოფლკორის დევნას ადგილი ქონდა ამიერ-კავკასიის სინამდვილეშიც.

## ებერტი მოლაპარაკებას აწარმოებს.

ბერლინი. 17 დეკემბერი. გერმანიის პრეზიდენტმა ებერტმა დაიწყო მოლაპარაკება ფრაქციების წარმომადგენლებთან ახალი მთავრობის შედგენის შესახებ.

ებერტმა მიიღო ნაციონალისტების, სოციალ-დემოკრატების, ცენტრის და სახალხო პარტიის წარმომადგენლები.

სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელმა მიულერმა აღნიშნა, რომ საპარლამენტო თვალსაზრისით არის სავალდებულო, რომ მთავრობის შედგენა დაევალოს რეიხსტაგის უძლიერეს ფრაქციას, ე.-ი. სოციალ-დემოკრატებს.

დემოკრატების ფრაქციამ მიიღო დადგენილება, რომ სოციალ-დემოკრატების, ცენტრის და სახალხო პარტიის კოალიცია შეეფერება ხალხის ნებას, რომელიც გამოხატა მან არჩევნებში.

## შიმშილობის შეწყვეტა.

ბერლინი. 17 დეკემბერს. გერმანიის კომპარტიის ც. კ დადგენილებით კომუნისტებმა ურბანსმა, ლევიმ და ფრედემ შესწყვიტეს შიმშილობა, რომელიც 8 დღეს გრძელდებოდა. შიმშილობა გამოცხადებული იყო იმიტომ, რომ დაპატიმრებული კომუნისტები არ გაანთავისუფლეს მიუხედავად იმისა, რომ ისინი არჩეული არიან რეიხსტაგში და ჰამბურგის პარლამენტში.

## როგორ აძრობენ ტყავს გერმანიას.

სარეპარაციო საქმეთა კომისარის მოლაპარაკებამ ინგლისის მთავრობასთან შემდეგი ნაყოფი გამოიღო.

ინგლისი განაგრძობს 26 პროც. დარიცხვას გერმანიიდან ინგლისში შემოტანილ საქონელზე. ეს თანხა ირიცხება სარეპარაციო საქმეთა უმაღლესი კომისარის ანგარიშში, რომელსაც უფლება აქვს მოახმაროს იგი სარეპარაციო გადასახადებთან დაკავშირებულ საქმეებს.

რით აიხსნება ეს მოვლენა.

სექტემბრის თვეში სამხრეთ უკრაინის სოფელ დიმოვკაში ადგილი ქონდა ენერგიულ სოფლის კორესპონდენტის ამხ. მალინოვსკის მკვლელობას, რომელმაც დიდი ყურადღება და აღშფოთება გამოიწვია მუშათა და გლეხთა მასებში.

მალინოვსკის მკვლელების გასამართლებამ ჩვენ დაგვანახვა დღევანდელ სოფლის სინამდვილე და სოფლკორის უძნელესი მუშაობა.

სოფელში დღეს კლასობრივ ელემენტების დანაწილება ხდება.

ერთის მხრივ გლეხობის უღარიბესი ნაწილი სდგას, რომელსაც ეყრდნობა საბჭოთა ხელისუფლება და მეორეს მხრივ კულაკების მობილიზაცია სწარმოებს. ესენი აქტიურ მუშაობას ეწევიან, სცდილობენ სოფლის საბჭოების, თემების, კოოპერატივების ხელში ჩაგდებას, სოფელში პოლიტიკურად გაბატონებას. ის ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს, თუ სოფელი ისევ ძველებურ სიბნელეში დარჩება. ის წინააღმდეგია სოფლის გამოღვიძების, ახალ გზაზე დადგომის. და ცხადია სოფლის კორესპონდენტს, რომელსაც არ შესწევს ადგილობრივად საკუთარი ძალებით შეებრძოლოს კულაკებს და მიმართავს მათ წინააღმდეგ დახმარებისათვის საბჭოთა პრესას, მათი მახინაციების და ბნელ საქმეების გამომჟღავნებით, კულაკები ყოველგვარ ზომას იხმარს მის წინააღმდეგ, ის მის მოკვლის წინაშეც არ შეჩერდება.

საბჭოთა ხელისუფლება სოფლის და მუშათა კორესპონდენტებს სთვლის თავის საუკეთესო მეგობრად და დამხმარე ძალად, ამიტომ ის გულგრილად ვერ შეხვდება მათ დევნას. ის თავის მფარველობის ქვეშ ყავს აყვანილი მას. საბჭოთა მართლ-მსაჯულება განსაკუთრებულ თვალსაზრისით უდგება ამ ბოროტ-მოქმედებას, ის მას სთვლის ერთ-ერთ სახეთ კონტრრევოლიუციონურ ზრახვებისას, და როგორც ასეთს მთელი რევოლიუციონურ სისასტიკით დასჯის მათ, რომ საშუალება მისცეს სოფლ. და მუშკორებს ნორმალურად მუშაობისა.

საჭიროა ჩვენმა სამხკორებმა, როგორც მომავალ სოფლკორებმა, შეისწავლონ მუშკორთა და სოფლკორთა მოძრაობის ისტორია და გაუკეთონ მას სათანადო დასკვნები.

—ო.

## გერმანიის ახალი კაბინეტი.

### პრეზიდენტმა ებერტმა კაბინეტის შედგენა მიანდო შტრეზემანს.

შტრეზემანი

ებერტმა მიანდო კაბინეტის შედგენა შტრეზემანს. შტრეზემანმა მოსთხოვა მას ერთი დღის ვადა მოსაფიქრებლად.

პოლიტიკური წრეების აზრით შტრეზემანზე კაბინეტის შედგენის მინდობა არის ცდა ბურჟუაზიული ბლოკის (კავშირის) მთავრობის შედგენისა.

## გლეხობის როლი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საქმეში.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ორგანიზაციების წარმომადგენელთა სრულიად საკავშირო პირველ ყრილობის სხდომაზე რიკოვმა მისალმების შემდეგ აღნიშნა, რომ ყრილობის წევრთა უმრავლესობა—გლეხებია და რომ ამას შემთხვევითი ხასიათი არ აქვს, ვინაიდან რაც უფრო ღრმად იჭრება მთავრობის ღონისძიებანი გლეხობის ფართო მასებში, მით უფრო უახლოვდებიან მას ეს მასები. ამაშია საბჭოთა ხელისუფლების ბუნება.

გლეხობა მართალია, როდესაც აღნიშნავს ბიუროკრატიზმს საბჭოთა დაბალ საფეხურის დაწესებულებებში—სათემო საბჭოებში, კოოპერატიულ კავშირებში და სხვ. მაგრამ ვინ არის დამნაშავე? პასუხისმგებლობის ერთი ნაწილი თვით გლეხობას აწევს, რადგან ნებას აძლევენ თავის მიერ არჩეულ ორგანოებს ცუდათ იმუშაონ. ამ ბოროტებას უნდა ებრძოლოს თვით გლეხობა და შეისწავლოს თავისი ხელისუფლების ისე მოწყობა, რათა არ იყოს ბოროტ მოქმედება დაუდევრობა.

რიკოვი აღნიშნავს სასოფლო მეურნეობის საერთო ზრდას მაგრამ ამბობს, რომ სოფლად მოიპოვებიან ღარიბი ფენები, რომელთაც დაუხმარებლად არსებობა არ არშეუძლიათ. ამ ფენების დახმარებას უნდა მიექცეს სასოფლო-სამეუნეო საკრედიტო კოპერაციის მთელი ყურადღება.

ამჟამად სახელმწიფომ დააბანდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში 175 მილიონი მანეთი. გლეხობამ კი მხოლოდ 36 მილიონი მანეთი. ომის წინა დროსთან შედარებით ჩვენ გვაქვს საწინააღმდეგო შეფარდება სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ საშუალებათა შორის. ამ შეფარდების შეცვლა უპირველესი ამოცანაა. არ შეიძლება სახელმწიფოს უცქირონ, როგორც საშვალებების განუსაზღვრელ წყაროს.

სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საჭირო საშუალებანი და ჯერ-ჯერობით ერთად-ერთ წყაროდ ჩვენში ითვლება გადასახადები.

საშუალებათა დაგროვების პროცესი სასოფლო მეურნეობაში ძალიან ნელა მიმდინარეობს. საჭიროა დავეხმაროთ მას, ვინაიდან სასოფლო მეურნეობა—ჩვენი სახალხო მეურნეობის მთავარი ბაზაა: მისი აღდგენის გარეშე ჩვენ ვერ შევსძლებთ მრეწველობის აღდგენას და გადასახადების შემცირებას. ჩვენი მეურნეობის აღდგენა—ჩვენი მთავარი ამოცანაა და ახლო მომავალში უნდა განვახორციელოთ იგი, რათა გავამართლოთ საბჭოთა ხელისუფლების შინაარსი.

ბოლოს რიკოვი შეეხო საბჭოთა კავშირის თანამედროვე საერთაშორისო მდომარეობას და დაამთავრა თავისი სიტყვა მოწოდებით—მთელი ყურადღება მიაქციონ საშვალებების შინაურ წყაროებს, რადგან სესხის იმედი მცირეა.

## ფულის რეფორმის გავლენა.

მოსკოვში გაიხსნა სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის საბჭოს პლენუმის სხდომა.

სხდომაზე მოყვანილ იქნა პლენუმის მუშაობის ანგარიშები უკანასკნელი სხდომებიდან დღემდის.

მოხსენება გააკეთა სმილგამ, რომელმიც აღნიშნა გასული წლის განმავლობაში სერიოზული მიღწევები სამეურნეო დარგში. წარმოების გამარჯვებებს, ქალაქისა და სოფლის ნაწარმოების ფასების შეთანხმებასთან მოყვებოდა ფულის ტრიალის ზრდა.

ნატურალური გადასახადიდან ფულის გადასახადზე გადასვლამ გაზარდა მოთხოვნილება ფულზე, რის გამოც ხმარებაში გამოშვებული ფულის რაოდენობა 1924 წელში ერთორად გაიზარდა 1923 წელთან შედარებით.

ფულის რეფორმამ გავლენა მოახდინა მთელ სახალხო მეურნეობაზე.

## ჩვენი შეცდომა.

მომხსენებელი ეხება გასულ წელში დაშვებულ შეცდომებს:

ეს შეცდომები გამოიწვია სურვილმა ჩქარა გაზრდილიყო მრეწველობის კაპიტალი. ამან გამოიწვია დიდი განსხვავება ქალაქისა და სოფლის პროდუქტებს შორის. მაგრამ აღნიშნავს მომხსენებელი—ამან მაინც ვერ შეაჩერა მეურნეობის ზრდა.

## სახალხო მეურნეობის აღორძინების პროცესი გრძელდება.

სოფლის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა ქალაქის საქონელზე. ეს გამოიწვია მრეწველობის გაფართოებამ და მანუფაქტურის გაიაფებამ.

გასული წლის მიმოხილვა უნდა ჩაითვალოს დაახლოებითად მაგრამ არსებითად კი ასეთი მდგომარეობაა. წასული დროს განმავლობაში სახალხო მეურნეობის საქმეში ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ და დღეს გრძელდება მეურნეობის აღორძინების პროცესი.

## სრ. საქარ. მიწა-ტყის მუშაკთა მე-4-ე ყრილობა.

16 დეკემბრის დილის სხდომა დამთავრდა მიწა-ტყის კავშირის საკავშირო ცეკის პრეზიდიუმის ანგარიშით.

მომხსენებელი შეეხო კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას და აღნიშნა ჩვენი კავშირის მნიშვნელობის ზრდა ევროპის მუშებში.

## კაიოს განთავისუფლება.

16 დეკემბერი. დეპუტატთა პალატამ? 347 ხმით 196 ს წინააღმდეგ მიიღო ამნისტიის პროექტის ის მუხლი, რომელიც შეეხება კაიოს და მალვის, კაიო და მალვი გამართლებული იქნენ „მოწინააღმდეგე სახელმწიფოების ქვეშევრდომებთან კავშირის დაჭერისათვის ომის დროს."

---

საქ. მიწა-ტყის კავშირის მთავარ გამგეობის მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა ამხ. ფანცხავამ. იგი შეეხო გამგეობის მუშაობას, მის სხდომებს და კავშირის ზრდას.

**კავშირის წევრთა რიცხვი.**

დღეს მიწა-ტყის კავშირში ითვლება 3,063 წევრი აქედან დაწესებულებებში მუშაობს 1,124 კაცი, სახალხო მამულებში—999, სატყეოებში 522, ჯიშიან საქ. მეურნეობაში 60.

**ეროვნული შემადგენლობა.**

ქართველი—1,888, რუსი—542, სომეხი—313, აჭარელი—26, აფხაზი—31, ოსი—48. დანარჩენი სხვა და სხვა ეროვნების.

**უმუშევრები.**

კავშირს ყავს 353 უმუშევარი წევრი.

**საზოგადოებრივი მდგომარეობა:** მუშა—1,524, მოსამსახურე—1,539

**სქესი:** მამაკაცი—2877, დედაკაცი—186.

**საორგანიზაციო მუშაობა.**

გამგეობა გასული წლის დეკემბერშივე შეუდგა კავშირის წევრთა ხელახალ აღრიცხვას და ჩაატარა იგი.

გამგეობა მუშაობდა მოჯამაგირეთა მდგომარეობის შესასწავლად და 6 მაზრაში აღრიცხვაზე აიყვანა 4914 კაცი, გამგეობის აზრით საქართველოში ითვლება 10 ათასზე მეტი მოჯამაგირე და დღევანდელი ამოცანაა ამათი კავშირში ჩარიცხვა, მუშაობაში ჩაბმა.

**სატარიფო ეკონომიური მუშაობა.**

გამგეობა ღებულობდა სათანადო ზომებს, რომ ხელფასის მოწესრიგების დროს დაეცოთ კავშირის ინტერესები და მართლაც ახალი ტარიფის განაწილების დროს ყველაზე მეტად მოიგო მიწა ტყის კავშირმა თვით მოჯამაგირების საკითხშიც გამგეობას ბევრი შრომა აქვს დახარჯული, დღემდის დადებულია 2030 შრომის ხელშეკრულება.

**განმანათლებელი მუშაობა.**

გამგეობა ხსნის კლუბების იქ, სადაც არის სამისო შესაძლებლობა, კავშირს აქვს წიგნთ-საცავები, სწარმოებს მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად და სხვა.

ცირკულიარულად.

## ს. ს. ს. რესპუბლიკის ქიმიის მეგობართა საზოგადოების ყველა სამაზრო საბჭოებს და ტფილისის უჯრედებს.

გეგზავნებად ცნობად და სახელმძღვანელოდ ს. ს. ს. რესპუბლიკის ქიმიის მეგობართა საზოგადოების სამაზრო საბჭოებისა და უჯრედების საწევრო გადასახადის რაოდენობა და პროცენტულ განარიცხის ნორმა ადგილობრივი ხარჯებისათვის.

საწევრო გადასახადის შესახებ არსებული წესი იცვლება და წესდება წლიური საწევრო გადასახადები ჯამაგირის რაოდენობასთან შეფარდებით, მაგალითად:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვინც | იღებს | 100 მან. ზევით თვიურად, | | წელ. | იხდ. | 1 მ. 50 კ. |
| „ | „ | 60 მანეთიდან | 100 მან. | „ | „ | 1 მ. |
| „ | „ | 30 მანეთიდან | 60 მან. | „ | „ | 50 კ. |
| „ | „ | 30 მანეთამდი | | „ | „ | 25 კ. |

წითელ-არმიელი, ინვალიდი და მეორე საფეხურის მოსწავლე იხდის 10 კაპიკს წელიწადში.

ადგილობრივ საჭიროებისათვის არსდება პროცენტულ განარიცხვის შემდეგი წესი:

ს. ს. ს. რესპუბლიკის ქიმიის მეგობართა საზოგადოების უჯრედები თავის საჭიროებისათვის (ლიტერატურის შეძენა და სხვა) იტოვებენ საერთო შემოსავლიდან 10 პროცენტს, დანარჩენი 90 პროცენტი შეაქვთ სამაზრო საბჭოში.

სამაზრო საბჭოები იტოვებენ თავის საჭიროებისათვის 5 პროც.-ს საწევრო გადასახადისა და 25 პროც.-ს სხვა შემოსავლიდან (სპექტაკლების, ლექციების და სხვა), დანარჩენ 95 პროც.-ს საწევრო გადასახადისა და 75 პროც.-ს სხვა შემოსავლიდან უგზავნიან ს. ს. ს. რესპუბლიკის ქიმიის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმს.

ზემო აღნიშნულ ნორმებზე ზედმეტი ხარჯების გაწევა პროცენტულ განარიცხებიდან შეიძლება ნება დართულ იქნას მხოლოდ უმაღლესი ინსტანციის მიერ. (ასეთ ნებართვას აძლევს უჯრედებს—სამაზრო საბჭო, ხოლო სამაზრო საბჭოს-ს. ს. ს. რესპუბლიკის ქიმიის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმი), რისთვისაც საჭიროა სათანადო ანგარიშების წარმოდგენა.

როგორც უჯრედებს, ისე სამაზრო საბჭოებს ეკრძალებად პროცენტულ განარიცხის ნორმის გადიდება უმაღლეს ინსტანციის მიერ ნებადაურთველად.

თუ საჭიროება მოითხოვს, ს. ს. ს. რესპულიკის ქიმიის მეგობართა საზოგადოების საბჭოს პრეზიდიუმი მისცემს სათანადო თანხას სამაზრო საბჭოებს, ხოლო უკანასკნელი უჯრედებს.

ს. ს. ს. რესპუბლიკის ქიმიის მეგ. საზ.

პასუხის მგებელი მდივანი **კომაშკო.**

## რა უნდა ახსოვდეს შვებულებაში მიმავალ კურსანტს.

**კურსანტი—საბჭოთა რესპუბლიკის შეგნებული მოქალაქეა, შემდეგ კი მეთაური.**

20 დეკემბერს ქართულ მეთაურთა სკოლის კურსანტები შვებულებაში მიდიან.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი მასის შვილები, რამოდენიმე ხნით უბრუნდებიან ამ მასებს.

წითელი ჯარის მომავალი მეთაურები ჩვენ სამხედრო სკოლებში, მარტო სამხატვრო ხელოვნების შესასწავლად არ მოსულან.

ისინი არ ეკუთვნიან სამხედრო კასტას. ამ უკანასკნელს დიდმა ოქტომბერმა ისტორიულ სიძველეთა მუზეუმში მიუჩინა ბინა.

ჩვენი კურსანტები სამხედრო ხელოვნებასთან ერთად სწავლობენ საზოგადოებრივ მეცნიერებასაც.

ისინი ჩვენი წითელი ჯარის მომავალი ხელმძღვანელებია არა მარტო სამხედრო საქმეში, არამედ ამ ჯარის კულტურულ პოლიტიკურ გათვითცნობიერების დარგშიც.

ეს გარემოება ავალებს მათ, რომ ისინი ერთი წუთითაც არ უნდა სცილდებოდენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ისინი ყოველ მხრივ უნდა აკვირდებოდენ და სწავლობდენ ამ ცხოვრებას.

ისინი ჩვენი რესპუბლიკის შეგნებული მოქალაქეებია უპირველეს ყოვლისა.

კურსანტებს არ უნდა ავიწყდებოდეთ, რომ ისინი გამოსულნი არიან მშრომელთა მასიდან. (არა მშრომელი წრის ხალხს ამათში ადგილი არ აქვს).

**შვებულება უქმად დროს ტარებას არ ნიშნავს.**

20 დეკემბერს რამოდენიმე დღით ეს ამხანაგები მიდიან ამ მასებში რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებში.

ამასან დაკავშირებით იჭრება მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა გვერდის ავლა არ შეუძლია არც ერთ შეგნებულ კურსანტს, თუ კი ის თავის მოწოდების სიმაღლეზე სდგას.

არც ერთმა კურსანტმა ერთი წუთითაც აზრადარ უნდა დაუშვას თითქოს ის, როდესაც დროებით თავს ანებებს ყოველ გვარ მეცადინეობას სკოლაში, უნდა იყოს უქმად მთელი შვებულების განმავლობაში.

კურსანტების უმრავლესობა არის გლეხურ მასიდან გამოსული. ამიტომ უდავოა ის აზრი, რომ აქ ამ მშრომელი გლეხობის მასასთან კავშირის ქონა აუცილებელია. ამ შემთხვევაში მიწერ-მოწერა უნდა აძლევდეს საშვალებას ჩვენს კურსანტებს, ყოველ დროს იცოდეს გლეხობის მდგომარეობა. მით უმეტეს მაშინ თუ კი ამხ. კურსანტები ერთი მეორეს უზიარებენ იმ ცნობებს, რომლებსაც თვითეული მათგანი სოფლიდან ღებულობს.

თუ კი ეს ყოველ დროს არ იყო ტეხნიკურად მოსახერხებელი, ეხლა შვებულების დროს ეს საკითხი პრაქტიკულად დგება მათ წინაშე.

**სოფლის სინამდვილის შესწავლა.**

შვებულების დროს კურსანტებმა უნდა ეცადონ ღრმად ჩაიწვდენ ჩვენი სოფლის სირღმეში; მთელი შვებულების დრო მოახმარონ სოფლის მდგომარეობის შესწავლას.

მაგალითად: თუ როგორია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, რა მდგომარეობაშია კოოპერაცია, სკოლა, სამკითხველო, ღებულობენ სოფლებში თუ არა გაზეთებს და სხვა. შეისწავლის რა თითეული კურსანტი თავის სოფელს, შემდეგ ყველანი ერთი მეორეს გაუზიარებენ ნახულს და შესწავლილს, როდესაც სკოლაში დაბრუნდებიან. ეს გარემოება ხელს შეუწყობს ჩვენი კურსანტების სოფელთან დაახლოებას ერთის მხრივ და ნათელი წარმოდგენის შედგენას ჩვენი სოფლის კარგ და ცუდ მხარეებზე მეორე მხრივ.

**შვებულებაში მიმავალ კურსანტების მუშაობა სოფლად.**

ჩვენის აზრით ამხანაგ კურსანტების საქმიანობა სოფლად შვებულების პერიოდში მარტო ამით როდი უნდა განისაზღვროს.

ჩვენი კურსანტები ვალდებული არიან, დაეხმარონ, როგორც ხელისუფლების ორგანოებს ადგილობრივ, აგრეთვე მშრომელ გლეხ-კაცობას იმ საკითხების ახსნა განმარტებაში, რომლებითაც ისინი დაინტერესებულნი არიან და სურთ მიიღონ ამ საკითხებზე პასუხი, როგორიც არის მაგალითად: ჩვენი რესპუბლიკათა საშინაო და საგარეო მდგომარეობა, ჩვენი საგადასახადო პოლიტიკა, მტკიცე ვალიუტის შემოღების მნიშვნელობა სამეურნეო აღმშენებლობაში და მუშების და გლეხების მტკიცე ბიუჯეტის შექმნაში, განმარტება საბჭოთა სისტემის, საბჭოთა ხელისუფლების, როგორც ნამდვილი ხელის უფლების მშრომელებისა, მუშების და გლეხების მტკიცე და ურყევი კავშირის აუცილებლობა, რომელიც არის თავდები მშრომელთა საბოლოო გამარჯვებისა მემამულეებზე და კაპიტალისტებზე, საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულების შესახებ გლეხობისადმი და სხვა.

კითხვები მრავალგვარი იქნებიან, მაგრამ უმთავრესად კი ზემოდ, ჩამოთვლილ მთავარ საკითხების გარშემო.

ამხ. ამხ. პარტიულებმა და კომკავშირელ — კურსანტებმა, რომელნიც უმრავლესობას შეადგენენ ჩვენი კურსანტებისას, სოფელში მისვლისთანავე უნდა გააბან კავშირი ადგილობრი პარტორგანიზაციებთან. უნდა დაეხმარონ მათ მთელ რიგ კითხვების გარკვევაში, მაგ.: როგორი მიდგომაა საჭირო გლეხურ მასისადმი, როგორი, ფრთხილი უნდა იყოს ეს მიდგომა. უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენი ამხანაგების სოფლებში ყოფნას კიდევ, მოახლოებულ საბჭოების არჩევნების გამო. პარტიის და კომკავშირის წევრები ვალდებულნი არიან ფართედ გაუშუქონ ადგილობრივ ამხანაგებს, სოფლის საბჭოებში უპარტიო გლეხების მონაწილეობის აუცილებლობაზე.

ზემო ჩამოთვლილ საკითხებში ჩვენი კურსანტები საკმაოდ მომზადებულნი არიან, რომ პასუხი გასცენ, ფართოდ განუმარტონ ყოველივე ეს გლეხობას და მით დაუმტკიცონ ამ უკანასკნელთ, რომ მათ ერთი წუთითაც არ ავიწყდებათ გლეხობა, რომ სხვა მოვლენებთან ერთად ამხ. კურსანტები გლეხობის მდგომარეობითაც არიან დაინტერესებულნი, გლეხობის ჭირ-ვარამით და მისი ტკივილების გაგებით.

როგორც ზემოდ ვთქვით ჩვენი კურსანტები ჩვენს სამხედრო სკოლებში სწავლობენ არა მარტო სამხედრო მეცნიერებას, არამედ ისინი გადიან საზოგადოებრივ მეცნიერებასაც, და თუ სამხედრო საქმეში მეტი პრაქტიკის მისაღებად ისინი გადიან მანევრებზე და მსგავს მოვლენებზე, მათ (ე. ი. კურსანტებს) უნდა ახსოვდეთ, რომ ეს შვებულებაც ერთგვარი მანევრებად უნდა დარჩეს მათთვის, მათი საზოგადოებრივ ცოდნის გასასინჯავად, და მისი პრაქტიკულ ნიადაგზე დასაყენებლად. ჩვენ გვწამს, რომ, ეს მანევრები, როგორც სხვა, ბრწყინვალე შედეგებს მოგვცემს, რაც იქნება საუკეთესო დამამტკიცებელი იმისა, რომ ჩვენი კურსანტები უპირველეს ყოვლისა იქნებიან ჩვენი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის შეგნებული მოქალაქენი და ამ რესპუბლიკის მტრების თავდასხმისაგან დამცველი, უძლეველი წითელი არმიის ღირსეული ხელმძღვანელებიც.

**ა. რამიშვილი.**



# ჩვენი კოოპერაცია.

### პირველი ლეგიონის კოოპერატივი.

პირველი ლეგიონის კოოპე-ატივი, ამ უკანასკნელ ხანე-ამდე დიდ დახმარებას უწევდა ლეგიონის მთელ შემადგენლო-ას, კრედიტს რომ თავი დავა-ებოთ, რომელიც გახსნილი ონდა ლეგიონს „ევკოგრუ-ასაგან“, ჩვენი კოოპერატივი აწვდიდა პირველ მოთხოვნი-ების საგნებს შედარებით ხელ-ყრელ ფასებში. ამ ჟამად ჩვე-ი კოოპერატივის დუქანი ძლი-რ გამოცარიელდა. თუ წინად უქანში თავზე საყარად მოი-ოებოდა ისეთი საქონელი, ომელიც აუცილებელი იყო ითეული სამხედრო პირისათ-ს, როგორიც არის: საპონი, ერი, ასანთი, თამბაქო, პაპი-ოსები და სხვა, დღეს დუქან-ი ასეთებს ვერ იპოვით.

მართალია პურს იღებს კოო-ერატივი, მაგრამ ძლიერ ცო-ას. თუ როგორმე მოასწარი ენებ მიიღო ერთი გირვანქა, მაგრამ ამასაც წვალება და დრო სჭირდება.

ეს არის და ეს. სხვა საჭირო საგნების მაგიერ კოოპერატივ-ში დუხები, პუდრები და სხვა ასეთი საგნები აწყვია.

კარგი იქნება „ევკოგრუზი“ იზრუნებდეს და ასეთი ნივთე-ბის მაგივრად მოგვაწვდიდენ თამბაქოს, პაპიროსებს და სხვა საჭირო აუცილებელ საგნებს.

აღსანიშნავია ერთი გარე-მოებაც: ზოგიერთი საქონელი ბაზარზე უფრო იაფი ღირს, ვი-დრე კოოპერატივში. თუ შე-საძლებელია, ამასაც სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. ისე უკეთესი იქნება, რომ რაც შე-იძლება ჩქარა მოიტანდენ დუ-ქანში საქონელს.

სხვა მხრივ, კოოპერატივი კარგად არის დაყენებული.

ნუ ჩაგვაგდებთ კერძო ვაჭ-რების ხელში. მოგვაწოდეთ სა-ქონელი.

ხ. იმნაიშვილი.

---

# ე-6-სე ტერ ლეგიონის შემადგენლობა სა-მხედრო კურსანტთა შეერთებულ სკოლაში.

13 დეკემბერია. მზე უხვათ ვრის თავის ცხოველ მყოფს ივებს. მეექვსე ლეგიონის ოში ფუსფუსი და მზადებაა. „დღეს კურსანტთა შეერთე-ლ სკოლაში მივდივართ“ ისმის მხიარული წითელ-არ-ელების ხმა. ჩვენი არმიელე-ი დღეს პირველათ გაეცნო-იან კურსანტთა ცხოვრების დებით და უარყოფით მხა-ეებს. ეს გარემოება ყველას არებს.

სრული თერთმეტის ნახევა-ი იქნებოდა რომ ამხ. ლაი-თაძეს მეთაურობით გავეშუ-რეთ ზემოხსენებულ სკოლისა-კენ. გზაზე შემოვძახეთ ჩვენე-ბურათ სიმღერები. მივედით სკოლაში. იქ შამოგვეგებენ ორკესტრით.

სკოლის მეორე ასეული ლა-მაზად ჩამწკრივებული შეგვხდა. ეს ასეული კულტურული შე-ფია ჩვენი ლეგიონის. მივესალ-მეთ ერთმანეთს და შემდეგ გაიმართა სიტყვების თქმა, ყვე-ლა ორატორები აღნიშნავდენ თუ რა მნიშვნელობა აქვს კურსანტების და არმიელების კავშირს ურ-თიერთ შორის. სიტყვების შემდეგ ჩვენი მწყო-ბრი გაიყო რამოდენიმე ჯგუ-ფებათ და გაჰყვენ კურსანტებს ასეულებში.

წითელი არმიელები განცვი-ფრებაში მოვიდნენ სკოლის ყველა წვრილმანების დათვა-ლიერებით. განსაკუთრებით ძლიერ მოეწონათ ლენინის კუთხეები.

სრულ 3 საათზე დავეწყვეთ და გამოვეშურეთ ყაზარმისა-კენ. კურსანტებმა გამოგვაცი-ლეს მუსიკით. ამ ექსკურსიამ ძლიერ ასიამოვნა ჩვენი მო-ლაშქრები. დანიშნულ დროზე ჩვენც გვეწვევიან სკოლის მე-ორე ასეულის კურსანტები, რაც უფრო განამტკიცებს კავ-შირს ჩვენს შორის.

სამხკორი ესმაშვილი.

---

# უნცროს მეთაურთა საარტილერიო სკოლა.

ერთი კვირაა, რაც დაიწყო აღნიშნულ სკოლაში მეცადი-ნეობა. კურსანტები საკმაოდ ვართ შეკრებილი. მეცადინეო-ბა სისტემატიურად სწარმოებს. ახლად მოსული არმიელები გულმოდგინეთ შეუდგენ შრო-მას. ერთმანეთს ეჯიბრებიან მეცადინეობაში. ამასთან ერთ-ად ძლიერ გვიწყობს ხელს მე-თაურთა შემადგენლობის საკ-მაოდ მომზადებული კადრი. ისინი ამ თავითვე ენერგიულად ეკიდებიან თავიანთ მოვალეო-ბას და დიდ შრომას ეწევიან ჩვენი შესაფერად მომზადები-სათვის.

ჩვენ სრული დარწმუნებუ-ლი ვართ რომ შევსძლებთ მა-თი იმედების გამართლებას.

კარგი იქნება ჩვენი მესვეუ-რები იზრუნებდენ წითელი კუ-თხისათვის, რომელიც ჯერ-სკოლაში არ არსებობს.

კურსანტი ს. ბუბაშვილი.

---

# საღამო ჩვენს ასეულში.

13 დეკემბერს ქართ. მეთ. სკოლის კლუბში 3-მე ასეუ-ლის კურსანტებმა, ამხ. თურ-ქიას ხელმძღვანელობით გამა-რთეს საღამო, რომელზედაც წარმოდგენილი იქნა სამ მო-ქმედებიანი დრამა „ორი დღე“ (პიესა თურქიასი) და კომედია „ონოფრე ღვდლის ოინები.“ საღამო ძლიერ შინაარსიანად ჩატარდა.

პიესაში ნათლადაა ასახული მენშევიკების ორი დღის გან-მავლობაში თარეში ჩვენში და ისიც, თუ როგორ ატყუებდენ გლეხებს თავად-აზნაურობა.

საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო და დიდი შთაბეჭდი-ლებით დაიშალენ.

კურსანტებმა მშვენივრად შე-ასრულეს თავ-თავიანთი რო-ლები. კარგი იქნება, რომ პი-ესა კიდევ შესწორდებოდეს და ნებას დაგვრთავდენ მისი დადგმი-სათვის სხვა და სხვა კლუბებში და განსაკუთრებით კი სამხე-დრო ნაწილებში.

ლავრ. ჭელიძე.

---

# სინათლეს უთავბოლოდ გვაწვდიან

პირველი ც. ა. კ. ლეგიონს აქვს ელექტრონით განათება მაგრამ ის უთავბოლოდ და არა თავის დროზე გვეძლევა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც უეცრივ ჩაქრება სინათლე და წითელ არმიელები წიგნით ხელში მთელი საათობით უცდიან თუ როდის განათდება.

ლოდინი ძლიერ დიდ ხანს გრძელდება, რაც არმიელებს იძუ-ლებულად ხდის გარედ სიცივეში ივახშმონ.

აქაც ხომ ბნელა, ერთმანეთს ვერც კი არჩევენ, და ვინ იცი-ის რა ხდება ამ დროს საერთო ჯამიდან ვახშმობის დროს.

საჭიროა გამოარკვიონ, რად გვაწვდიან სინათლეს ასე უთ-ავბოლოდ, როდესაც დღისით სარდაფები მუდმივად განათებუ-ლია.

საჭიროა მოწესრიგდეს განათების საქმე. მიაქციეთ ყურა დღება.

ე. ც.

---

# პარტიული ცხოვრება

## გაერთიანებული კრება.

14 დეკემბერს შესდგა პირ-ველ ლეგიონის პირველ ასე-ულის ახკომკავშირის, პარტიის წევრებისა და უპარტიო წითელ არმიელთა გაერთიანებული კრე-ბა.

გასარჩევი იყო შემდეგი სა-კითხები: ძველი ოქმის დამტკი-ცება, გერმანიის რეიხსტაგის არჩევნების შედეგები, პარტი-აში მიღების შესახებ განცხა-დებების განხილვა და მიმდინა-რე საკითხები.

რეიხსტაგის არჩევნების შე-დეგებზე მოხსენება გააკეთა ა. ხ. სვანიძემ და დაწვრილე-ბით გაგვაცნო, თუ როგორი როლი ითამაშა გერმანიის კო-მუნისტურმა პარტიამ არჩევნებ-ში.

ამხ. ჩახუნაშვილის წინასწა-რი განმარტების შემდეგ კრებამ განიხილა პარტიაში შესვლის მსურველთა განცხადებები.

ორი ამხანაგი კრებამ დაამ-ტკიცა პარტიის კანდიდატებათ. მესამე ამხანაგის ამხ. კორძახიას განცხადების განხილვა კი გა-დაიდო შემდეგი კრებისათვის, რადგან მისი წარსულის მცო-დნე ძველი წითელ-არმიელები გასული იყვნენ ხიდეებზე სადა-რაჯოთ.

გიორგი ჩიტაიშვილი.

## პირ. საარტ. დივიზ. ბიურო-კოლექტივის მუშაობა.

7 დეკემბერს შესდგა პირ-ველი საარტილერიო დივიზიო-ნის საერთო პარტიული კრება. კრებას დაესწრენ 6 პარტ. წე-ვრები, 10 კანდიდატები და 34 ახკომკავშირის წევრები.

გასარჩევი იყო: წარსული კრების ოქმის დამტკიცება, ბი-ურო კოლექტივის მუშაობის ანგარიში, ბიუროს ახალი არ-ჩევნები, პარტიაში მიღების შე-სახებ განცხადებები და მიმდი-ნარე საკითხები.

ბიურო კოლექტივის მუშა-ობის ანგარიშით გამოვიდა ბი-ურო კოლექტივის პასუხისმგე-ბელი მდივანი. ამხანაგმა ვრცე-ლი ანგარიში წამოაყენა და დაწვრილებით აღნიშნა ყველა ის, თუ რა გაუკეთებია ბიუ-როს დღევანდლამდე. აღნიშ-ნული იქნა ყველა დამაბრკო-ლებელი მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიდენ ბიუროს ნორ-მალურ საქმიანობას. მოხსენე-ბამ მრავალი შეკითხვები გა-მოიწვია და შემდეგ შემოვიდა წინადადება, რომელიც ბიურო კოლექტივის მუშაობას დამაკ-მაყოფილებლად სთვლის და უსურვებს ახალ ბიუროს შემა-დგენლობას მათი მუშაობიდან აღლოს მაგალითი თავისი საქმია-ნობის უფრო ინტენსიური წა-რმოებისათვის.

ამის შემდეგ კრება გადავი-და პარტიაში შესვლის მსურ-ველთა განცხადებების განხილ-ვაზე. სულ იყო სამი განცხა-დება. ერთი მიღებული იქნა პარტიის კანდიდატათ, მეორეს უარი ეთქვა, ხოლო მესამეს ავტობიოგრაფია არ აღმოჩნდა ვრცელი და განცხადების გან-ხილვა გადადებული იქნა დრო-ებით.

იყო განმარტება პარტდის-ციპლინის შესახებაც.

პარტკორი ტ. ხეველი.

---

# საუბარი სამხედრო კორესპონდენტთან.

### ამხ. სამხკორო!

შენ აგირჩიეს სამხედრო კო-რესპონდენტათ; ეს არც ისე ტარა დავალებაა, როგორც ოგიერთი ამხანაგი ფიქრობს. გრამ ამომრჩევლები გენდო-ოდენ და იცოდენ ალბათ, ომ შენ ამ დავალებას პირნა-ლად შეასრულებდი და შენც ადე ამ ნდობის გამართლება, ომ არ მისცე მათ სალაპარა-ოთ: მერე რა, რომ ავირჩიეთ ამხკორათ, არაფერი მას ჩვენი აწილის შესახებ არ დაუწერია ა სხვა.

როგორ უნდა მოვიქცეთ არ-ევისთანავე და რა უნდა ვაკე-ოთ?

შევეცადოთ ამის გამორკვე-.

თქვენი მოვალეობაა თქვე-ვე სამხ. ნაწილის ცხოვრების აშუქება პრესაში, ამიტომ თვა-ყური ადევნე ყველაფერს ქვენს ნაწილში, ყოველივე არყოფითი და დადებითი მხა-ეები აღწერე და გამოაქვეყნე პრესაში. თქვენ არ უნდა გა-მოგეპაროს არც ერთი წვრილ-მანი რამ შენი ნაწილის ცხოვ-რებიდან, მაგალითისათვის ვსთ-ქვათ, რომ შენი ნაწილის წი-თელ-არმიელმა, ივანემ, გამო-იტანა სამკითხველოდან წიგნი დ. ჰონქაძის „სურამის ციხე“, რომელზედაც მან თავისი სახე-ლი და გვარი წააწერა. ამით მან ჩაიდინა დანაშაული. რა უნდა ქნას სამხკორმა? ამ ამხა-ნაგის მოქმედება უნდა გამოა-ქვეყნოს პრესაში. შეიძლება იფიქროთ თქვენ, რა საჭიროა ამ წვრილმანზედ წერაო, მაგ-რამ ასეთი მსჯელობა არ იქნე-ბა სწორი და აი რატომ.

ჩვენ სამკითხველოში გვაქვს წიგნები იმიტომ, რომ ისინი ჩვენ წავიკითხოთ და მისში-ნაარს გავეცნოთ. ამ წიგნებს ბევრი ჩვენისთანა წითელ-არ-მიელი გაუსტუმრებია უვადო შვებულებაში და მომავალშიაც ბევრი უნდა გაისტუმროს. თი-თეულმა ჩვენთაგანმა, რომ მა-ზე ჩვენი სახელი და გვარი ვა-წეროთ, ეს არ იქნება კარგი; ასეთი წიგნი ნაწილში შეიძლე-ბა ერთი ან ორი იქნეს—ჩვენ კი ბევრი ვართ და ჩვენი სახე-ლით და გვარით ისე დაიჯღა-ბნება ის, რომ მისი წაკითხვა შემდეგ შეუძლებელი იქნება და ჩვენს ამხანაგებს, რომლებ-საც ჩვენს მერმე მოელის წი-თელი ყაზარმა წიგნი აღარ ექნებათ—ჩვენ ამით დამნაშა-ვეთ ჩავითვლებით მათ წინაშე და სხვა.

როდესაც ამხ. წითელ-არმი-ელმა ივანემ, პირველად დაა-წერა თავისი სახელი და გვარი წიგნს, მისი მოქმედების შესახებ მას თუ პრესაში მოვათავსებთ, ის შემდეგ ასეთებს აღარ განი-მეორებს და მისი მიხედვით არც სხვა ამხანაგები იზამენ მსგავს რამეს.

ეს პატარა მაგალითი, სხვა-თა შორის, აღვნიშნეთ. ასეთი მაგალითებს თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე იპოვით თქვენს ნაწილში, რასაც თქვე-ნგან ყურადღების მიქცევა ესა-ჭიროება.

კარგად დაიმახსოვრე ამხ. სამხკორო, ამხ. ტროცკის სი-ტყვები: „ყურადღება წვრილ-მანს, რადგანაც წვრილმან ნა-გან შესდგება მთელი“. მაგ-რამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ მივაქციოთ ყურადღება გარდა წვრილმანისა სხვა რამეებსაც. თქვენს მოვა-ლეობას შეადგენს, როგორც წვრილმანს, ისე მნიშვნელოვან მოვლენებს, და საკითხებს მია-ქციოთ ჯეროვანი ყურადღება; ყოველივე ცნობები აღწერეთ მოკლეთ და გასაგები ენით, ქაღალდის ცალ გვერდზედ და გაუგზავნეთ რედაქციას, ეს უკანასკნელი კი დაბეჭდავს თქვენს წერილს გაზეთის უახ-ლოეს ნომერში.

წერილის ბოლოში უნდა მოაწეროთ თქვენი სახელი და გვარი, ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა და სხვა მოსაზრებით, შე-იძლება პსევდონიმით წერა, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი გვარი და სახელი სრულიად უნდა იქნეს მოწერილი.

თქვენ აზრათაც ნუ გაგივ-ლის ის, რომ რედაქციამ თქვე-ნი ვინაობა გაამჟღავნოს; ეს საიდუმლოდ იქნება დაცული რედაქციის მიერ.

სანამ უარყოფითი მოვლე-ნის შესახებ დასწერდე წერილს, მანამდის კარგად შეისწავლე ამ მოვლენის გამომწვევი მიზე-ზები და წერილში აღნიშნე თუ როგორი გზით შეიძლება ამ უარყოფითი მხარის გამოს-წორება. გაიხსენე ქართული ანდაზა: „ათჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი“ო, ამასთან ერთად იცოდე, რომ ყოველი-ვე ჩვენი დაწერილი წერილის შესახებ პასუხის მგებელი ჩვენ-ვე ვართ.

პრესა ეს ისეთი რამ არის ამხ. სამხკორო, რომ შიგ რაც დაიწერება, ის შემდეგ აღარ წაიშლება.

შეიძლება ამხ. სამხკორო, შენ ვერ გაბედო შენი უფრო-სის ცუდათ მოქმედების შესა-ხებ წერილის პრესაში გამოქვე-ყნება შიშის გამო, მაგრამ იცო-დე რომ წითელ ჯარში შიში არ არის; ნურავის შენ ნუ შეგეშინდება, აღწერე ყვე-ლაფერი რაც სინამდვილეს შეიცავს და გამოაქვეყნე პრე-საში, ხოლო ერიდე სიცრუეს. ერიდე ამასთან ერთად კორეს-პონდენციაში „ნათლი მამო-ბას“ ე. ი. უფროსის საპატივ-საცემოდ პრესით ისეთ ნაირათ წერილებით შექებას, მის მო-ქმედების შესახებ, რაც სინამ-დვილეს არ შეეფერება; მაგ. თქვენი ასეულის მეთაური წი-თელ-არმიელებს თუ ცუდათ ექ-ცევა, თქვენ ის უნდა გამოა-ქვეყნოთ პრესაში, მაგრამ თუ შენ აქ გამოიჩინე „ნათლიმა-მობა“, ან არ გაწერე და თუ გაწერე ქება დიდებით მოიხსე-ნიე, ამ შემთხვევაში სიცრუი-სათვის შენ დაგამარცხებენ ყვე-ლა შენი ამხანაგები და დანარ-ჩენი სამხკორები.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

სოლ. უუბ—ი.

# ამბები სოფლებიდან.

**ჭრა კერვის-სკოლა.**

თელავის სამაზრო გლეხკომმა აილო შეფობა სოფ. ყვარელის, შილდას, ახმეტას, ნაფარეულის, მატნის და კაცითხევის ჭრა-კერვის სკოლებზე.

**სათესლე მასალის მოკრება.**

რაჭის აღმასკომმა დაადგინა გასესხებული სათესლე მასალა მოკრიბოს შეძლებული მცხოვრებლებისაგან, ხოლო ღარიბებს სრულებით აპატიოს.

**ებრაელების სკოლა ონში.**

ონის აღმასკომმა დაადგინა შეუდგეს ონის ებრაელთა სკოლის შენობის საფუძვლიან შეკეთებას.

**წისქვილების ჩამორთმევა.**

რაჭის აღმასკომმა დაადგინა ჩამოართვას მეპატრონეებს ქვედრულაზე გაშენებული დაკეტილი წისქვილები და გადასცეს გლეხკომებს.

**საავათმყოფო სოფლათ.**

სოფელი ახალ ქალაქის აღმასკომმა (ქართლში) გადასწყვიტა გამოიტანოს ბანკიდან სესხათ 500 მან. და ამ ფულით შეაკეთოს ადგილობრ. საავადმყოფო.

**საზოგადოებრივი აღმშენებლობა.**

გორის სამაზრო აღმასკომმა დააკმაყოფილა სოფ. ქვემო ჭალის აღმასკომის შუამდგომლობა 30 ბოჩკა ცემენტის მიცემის შესახებ სხვა და სხვა საზოგადოებრივ სამუშაოთა საჭიროებისთვის.

**მდ. ყვირილის ნაპირების გამაგრება.**

შორაპნის მაზრის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ გადასწყვიტა ააშენოს დამბა მდინარე ყვირილაზე.

**მეღვინეობა-მეაბრეშუმეობა.**

სოფ. ბუგეულის (რაჭაში) 7 წლიანი სასწავლებელი გადაკეთებული იქნება სამეურნეო სასწავლებლათ მეღვინეობა-მეაბრეშუმეობის განყოფილებებით.

**კოოპერატივების მაგიერ**

ახალციხის გლეხკომმა დაადგინა გააფართოოს სავაჭრო მაღაზია ახალციხეში და გახსნას განყოფილებები იმ სოფლებში, სადაც კოოპერატივები არაა.

**საქონლის ჭირი.**

სოფ. კურდღელაურში (თელავის ახლო) თავი იჩინა საქონლის ჭირმა.

**ვენახების გაშენება.**

1924 წ. კახეთის სახალხო მამულებში გაშენებული იქნა 24 დესეტინა ახალი ვენახი.

**სარწყავი არხის გაყვანა.**

გორის აღმასკომმა დაავალა ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას დაიწყოს მუშაობა ატანის სარწყავი არხის გასაყვანათ.

**საექიმო პუნქტი სოფლათ.**

შორაპნის აღმასკომმა დაავალა ჯანმრთელობის განყოფილებას გახსნას საექიმო პუნქტი სოფ. მერევში.

**ხიდის ასაშენებლათ.**

გორის აღმასკომმა შეიძინა 150 ცალი რკ. გზის სალიან დაგო ზოდები ახალი ხიდის აშენებისათვის გამოსაყენებლათ.

**ინვალიდთა დახმარება**

ქალ. გორში დაარსდა სრულიად საქართ. ინვალიდთა დამხმარე საზოგადოების სამაზრო კომიტეტი.

# უცხოეთის ავიაცია

**ცეპელინი ჩრდილოეთ პოლიუსისკენ.**

ქ. ქრისტიანიის (ნორვეგიის სატახტო ქალაქ.) გეოგრაფიულ საზოგადოებაში ცეპელინის კაპიტან კრესმა გააკეთა მოხსენება, სადაც მან განაცხადა, რომ ამ მოკლე ხანში განზრახულია მოეწყოს ცეპელინით გადაფრენა ჩრდილოეთ პოლიუსზედ. ამ გადაფრენაში მონაწილეობას მიიღებს ცნობილი ჩრდილოეთის პოლიუსის მკვლევარი ქრისტოფ ნანსენი. გადაფრენის მიზანს შეადგენს აქამდე უცნობ და შეუსწავლელ ჩრდილოეთის პოლიუსის ადგილების სურათების გადაღება. მიწასთან ცეპელინს კავშირი ექნება რადიოს საშვალებით.

**შესანიშნავი ცეცხლის მქრობელი.**

საფრანგეთის ინჟინერ-მფრინავმა ბეშარიმ გამოიგონა მეტად საინტერესო ცეცხლის მქრობელი. ცეცხლის მქრობელი იმდენად კარგად მოქმედობს და საიმედოა, რომ ბეშარი განზრახ აჩენს ფრენის დროს ჰაეროპლანზე ცეცხლს და შემდეგ რამოდენიმე წამის განმავლობაში აქრობს. ასეთი ცდები მან ბევრჯერ მოახდინა.

ჰაეროპლანებში ცეცხლის გაჩენა ფრენის დროს ძლიერ საშიში მოვლენაა. მრავალი მფრინავები გამხდარა და ეხლაც ხდებიან ამ უბედურების მსხვერპლი.

განსაზღვრულ სიმაღლეზე (300—500 მეტრი და ზევით) ჰაეროპლანებში გაჩენილი ცეცხლი, თითქმის ყოველთვის იწვევს მფრინავების დაღუპვას. ბეშარის მიერ გამოგონებული ცეცხლის მქრობელის მოქმედების პრინციპი ჯერ-ჯერობით ინახება საიდუმლოდ.

**დირიჟაბლები ინგლისში.**

გერმანიაში—ამერიკისათვის დამზადებულ დირიჟაბლის მშვიდობიანად გადაფრენამ გერმანიიდან ამერიკაში და საერთოდ დიდი მოცულობის დირიჟაბლების დამზადებამ სხვა და სხვა სახელმწიფოებში, მეტად შეაფიქრიანა ინგლისის მთავრობა და თვითონაც შეუდგა უდიდესი დირიჟაბლების დამზადების საქმეს. ამას გარდა ინგლისის მთავრობას ძლიერ ესაჭიროება თავის კოლონიებთან ჩქარი მიმოსვლის საკითხი, რაც უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ დირიჟაბლების საშვალებით.

ამ ჟამად ინგლისელები ამზადებენ ორ დიდ დირიჟაბლს, თითეული იქნება 140,000 კუბიკ. მეტრის მოცულობის. თითეულზე მუშაობს 7 მოტორი 4200 ცხენის ძალით და შეუძლიათ 155 ინგლისური ტონის (ტონში 69 ფუთი) სიმძიმის წაღება. მოტორები იმუშავებენ მძიმე სათბობი მასალით.

**სიჩქარის ახალი რეკორდი.**

საფრანგეთის მფრინავმა ბონამ აილო ახალი სიჩქარის რეკორდი—380 კილომეტრი საათში.

რეკორდი აღებული იქნა „ფორმუას“ ფირმის ფოლადისაგან დამზადებულ ჰაეროპლანით. ფიქრობენ რომ ცოტაოდენი გადასხვაფერების შემდეგ ეს ჰაეროპლანი განავითარებს 440 კილომეტრს საათში.

# სამხედრო ტრიბუნალი.

16 დეკემბერს ქართულ სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. ენუქიძის თავმჯდომარეობით განიხილა საქმე ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლის კურსანტის **ვლადიმერ ალექსისძე ელბაქიძის**, რომელსაც ბრალი ედება დეზერტირობაში და მასზედ დროებით გაცემულ სახაზინო ქონების გაფლანგვაში. სასამართლოს სხდომაზე დამამტკიცებელი საბუთებით, მოწმის და ბრალდებულის დაკითხვით გამოირკვა შემდეგი: ბრალდებული ელბაქიძე ყოფილა გაშვებული მოკლე-ვადიან შვებულებაში ივლისის თვეში, საიდანაც არ დაბრუნებულა და განაგრძობდა დეზერტირობას ა. წ. 16—ოქტომბრამდე, როდესაც ბრალდებული ბათომის კომენდანტის მიერ იქნა შეპყრობილი და გადმოგზავნილი თავის ნაწილში, სადაც იქნა მიცემული პასუხის გებაში. ნაწილიდან გაქცევისას ბრალდებულმა თან წაიღო მასზე გაცემული სახმარად სახაზინო ნივთები, სახელდობრ: მაზარა, ხალათი, შარვალი, შლემი, ქამარი, პერანგი, ნიფხავი წყვილი ფეხსახვევი, პირსახოცი, ცხვირსახოცი, ბალიშის პირი, ყველა ეს თითო ცალი, წყვილი ბათინკები, წყვილი ტოლადები, ორი ტომარა. ასეთები დაბრუნებისას მას არ აღმოაჩნდა. ბრალდებულმა არ სცნო თავი დამნაშავედ წაყენებულ ბრალდებაში და განმარტა, რომ შვებულებიდან ის არ დაბრუნდა მისთვის, რომ გაიგო სამხედრო სკოლის გამწმენდ კომისიას ის ამოურიცხავს, როგორც დეზერტირი, სახაზინო ნივთების შესახებ აჩვენა, რომ მაზარა დაეკარგა, დანარჩენი კი გაცვდა ხმარებისაგან.

სასამართლომ დამტკიცებულად სცნო მასზე წაყენებული ბრალდებები და მიუსაჯა მას დეზერტირობისათვის—8 თვე გამასწორებელ სახლში მოთავსება და 10 მანეთად ღირებულ ქონების კონფისკაცია.

სახაზინო ნივთების გაფლანგვისათვის—6 თვე გამასწორებელ სახლში მოთავსება. საბოლოო სასჯელად დაუტოვა 8—თვე გამასწორებელ სახლში მოთავსება და 10—მანეთად ღირებულ ქონების კონფისკაცია.

**გნია.**

# პასუხად პარტკორს ამხ. „ნ-“ს.

ა/წ. 11 დეკემბრის გაზეთ „წითელ არმიელში“ № 671 მოთავსებული იყო ამხ. „ნ-“ის წერილი მე-3-მე ასეულის ლენინის კუთხის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. ამხანაგი აღნიშნავს, რომ პრეზიდიუმი კარგად მუშაობსო, მხოლოდ კედლის გაზეთის საქმე ვერ მოაგვარაო.

ამხ. „ნ-“ო, ასეთი შეცდომის დაშვება არ გეპატიებათ. ჯერ საჭიროა გაგეგო, თუ ვინ სცემს კედლის გაზეთს კედლის გაზეთის გამოშვებისსაქმე მინდობილი აქვს სარედაქციო კოლეგიას და არა ლენინის კუთხის გამგეობის პრეზიდიუმს. თქვენი საყვედური ჩვენს მიმართ უსაფუძვლოა. იმედია შემდეგში აღარ დაუშვებთ ასეთ გაუგებრობას და ფაქტებს სისწორით აღნიშნავთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ლ. კ. პრეზიდიუმის დავალებით

**კ. უ—ძე.**

# ახალი ამბები.

— **საზოგადოებრივი სამუშაოები.** შრომის სახ. კომისარიატმა მოახდინა ახალშენის საზურთალოსი და ნაძალადევის გამოკვლევა იქ საზოგადოებრივ სამუშაოების მოწყობის მიზნით.

— **შრომის კოლექტივები.** შრომის კომისარიატი შეუდგა სხვა და სხვა ხელობის მშრომელთა კოლექტივების მოწყობას.

— **წიგნების კიოსკები.** გონებრივ მომუშავეთა შრომის არტელი მოკლე ხანში აპირებს გახსნას ტფილისში სხვა და სხვა ადგილას წიგნის კიოსკები.

— **ტყის მოშენება.** მიმდინარე წლის განმავლობაში მიწ.-მოქმედ. კომისარიატს დაუთესია ყარაიაზის და დუშეთის რაიონებში 8 დეს. ტყე.

— **მუშათა ბინების ასაშენებლათ.** მუშათა საალმშენებლო ბინების დამხმარე კომიტეტთან დაარსდა ტექნიკური სათათბირო კომისია ინჟინერებისა და ხუროთ-მოძღვრებისაგან.

— **დახმარება დაზღვეულებს.** ტფილისის დამზღვევ სალაროს, დაზღვეულთა ავათმყოფობის გამო დაურიგებია ნოემბრის განმავლობაში 36.902 მანეთი.

— **არდადეგები საბჭოთა და პარტ სკოლებში.** საბჭოთა და პარტიულ სკოლებში არდადეგები დაიწყება 1-ლ იანვარს და გაგრძელდება 15 იანვრამდე.

— **შემოსავალი ტრამვაიდან.** 15 დან 30 ნოემბრამდე ტფილისის ქალაქის ტრამვაის შემოსავალი უდრის 80.298 მანეთს.

— **პურის სალეწი მანქანა.** ქალაქის აღმასკომის მიწად-მოწყობის განყოფილებამ გადასწყვიტა შეიძინოს პურის სალეწი მანქანა და გადაგზავნოს იგი წალკის რაიონში.

— **უბედური შემთხვევები.** ტრამვაიზე მგზავრობის შესახებ ახალი წესების გამოცემის გამო უბედურმა შემთხვევებმა ტრამვაიზე შესამჩნევათ იკლო. ნოემბრის განმავლობაში ადგილი ჰქონდა მხოლოთ 9 შემთხვევას.

# წერილი რედაქციის მიმართ.

**პასუხი კიდევ „ბატონო“-ს შემთხზვნელს.**

10 დეკემბრის გაზ. „წითელ არმიელში“ ჩემს შესახებ მოთავსებულია წერილი სათაურით: კიდევ „ბატონო“, სადაც ნათქვამია, რომ 8 დეკემბერს პირველ ქართულ ლეგიონს ესტუმრა დივიზიის უფროსი ამხ. თუხარელი, რომელსაც დათვალიერების დროს, მე ყოველ თითეულ შეკითხვაზე ვითომ ბატონოთი უპასუხებდი. ამის შემთხზვნელი ცქრია გატაცებული ვინმე მავნე პიროვნებისაგან დარიგებით, რომ მას დაეწერა ასეთი ტყუილი, მე მარიგებს, რომ ეს და ასეთი სიტყვების ხმარება არ მეპატიება. ის იმასაც იხსენიებს, რომ განსაკუთრებით, როგორც პარტიულ ამხანაგს. ასეთი დიდი ქველმოქმედი ცქრია, მაგრამ ამავე დროს ყოველდღიური ასეთი წვრილმანობაში ჩაფლული პიროვნება იმაზედაც დიდი შეწუხებულია, რადა უნდა ქნან ჩემი წითელი-არმიელებმა.

ვინც ცოტათი ჩაფიქრდება ამაზე ის ღრმად დარწმუნდება რომ ცქრიას ის არ აწუხებს მაინც და მაინც მე „ბატონოთი“ უპასუხებდი ამხ. თუხარელს, არამედ ის დაინტერესებულია ამოჩემებულად, რასაკვირველია, სხვისი დახმარებით, რომ ასეთი ტყუილის მოგონებით შელახოს ჩემი თავმოყვარეობა.

ცქრიამ გაიხსენოს, რომ მე დივიზიის უფროსი ამხ. თუხარელთან საუბარი მქონდა რუსულ ენაზე და თუ ეს ასე იყო მე მიმიმართავს დივიზიის უფროსზე „ГОСПОДИН КОМДИВ.“ ეს მიმინდვია დივიზიის უფროსი ამხ. თუხარელის მახსოვრობისათვის.

ცქრიას ეტყობა, რომ ჩვენი კომუნისტური პარტიის წევრი არ არის თორემ, ის, რომ ჩვენს რიგებში იყოს მე, როგორც უფროს ამხანაგს და მეგობარს, მეტყოდა რომ არ მეხმარა სიტყვა „ბატონო.“ იქნებ ვინმე ცქრია პარტიის წევრია, მე თამამად ვსწერ და ვიტყვი რომ ამას ჩვენი პარტიის უფროს ამხანაგებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. ჩვენი პარტია იმაში კი არაა დაინტერესებული, რომ თუ კი ამა თუ იმ პარტიის წევრს შემთხვევით „ბატონო“ წამოცდა, რომელსაც შემთხვევა არ ქონია, ის აუცილებლად გაზეთში გამოაცხადოს და მით პრესტიჟი დასცეს თავგადადებით აქტიური მომუშავე ამხანაგების.

**ბ. გეგელია**

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ვასილს.** თქვენი წერილები „დივიზიის ცალკე საკავშირო ასეული და ასეთებს ადგილი არ უნდა ქონდეს“ სარ დაიბეჭდება.

**ამხ. მელაძეს.** თქვენი ლექსი „თანამედროვე ყმაწვილებს“ არ გავა.

**ამხ. აკობიას.** თქვენი წერილი „მეტი ასეთი პოლიტხელებიო“ არ გავა.

**ამხ. ჯანელიძეს და ასათიანს.** წერილები „ჩვენი შეხვედრა“ და „21-სკოლაში წასვლა“ არ დაიბეჭდებიან. ამათ შესახებ უკვე გავიდა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ცომაიას, იმნაიშვილს, ბალათურიას, ლეჟავას, ოქრომიძეს, გიორგაძეს, მეტრეველს, კინწურაშვილს, წყაროზიას, კოპალიანს, კოკაიას, ჭანკვეტაძეს, გიორგობიანს, დ. ლომაძეს, კ. ჭანტურაშვილს და კვინიკაძეს სთხოვს რედაქცია შემოიარონ დღესვე.**

**ამხ კლიტეს.** გვაცნობეთ თქვენი სახელი და გვარი, წინაამდეგ შემთხვევაში თქვენი წერილები არ გავა.

**ამხ. ბ. გეგელიას** შემოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. წ. არ. თ. ჩხაიძეს და უფროსს გეგელიას.** შემოიარეთ რედაქციაში.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

**დავკარგე** განათ. მუშ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 6003 მიღ. „მეცნიერება და ხელოვნება“-საგან ფულის ასაღები ბარათი №276/39 და სამხედრო აღრიცხვის ფურ. №95 გიორგი ბრეგაძის სახელზე გაცემული. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. ტირაჟი 1700